



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №28

29 მაისი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. უარი ეთქვას სახელმწიფოს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზ. №1-ის მიმდებარედ 955 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.37.454) საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



პრჩილი თხლაშიძე